ისტორიული გზების გეოგრაფია საქართველოში

ლუკა დავითაშვილი

ელ-ფოსტა: luka.davitashvili8512@ens.su.edu.ge
გეოგრაფიის დეპარტამენტი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ი. ჭავჭავაძის გამზ. 3, თბილისი, 0179, საქართველო

სამაგისტრო ნაშრომის აქტუალობა უკავშირდება ისტორიული გზების გეოგრაფიულ თავისებურებებს. ამგვარი კუთხით ეს საკითხი აქამდე არ შესწავლილა, რაც ნაშრომის მიხედვით განხორციელდა. აღსანიშანვია, რომ დღემდეე არაა დადგენილი ძველი ისტორიული გზების ადგილმდებარეობა, გეოგრაფიული კუთხით არაა შესწვლილი სხვადასხვა მარშრუტი, არაა საუბარი მათი აღდგენაზე და მათი საშუალებით რეგიონების ერთმანეთთან დაკავშირებაზე. საკითხის სიღრმისეული შესწავლა რეგიონების ერთმანეთთან უკეთ დაკავშირების და მათი ეკონომიკური განვითარების წინაპირობა გახდება. ასევე შესაძლებელია საქართველოს სატრანზიტო როლის ზრდა და მისი გეოგრაფიული მდებარეობის გამოყენება.

თემის აქტუალობას უკავშირდება ნაშრომის მიზნები და ამოცანები. კვლევის მიზნებიდან აღსანიშნავია: მსოფლიოსა და საქართველოში ისტორიული გზების ისტორიის შესწავლა და მათი მნიშვნელობის გამოვლენა; მსოფლიოსა და საქართველოში ისტორიული გზების გეოგრაფიული თავისებურებების გამოვლენა; ისტორიული გზების აღდგენის პერსპექტი-ვების შესწავლა.

ამრიგად კვლევის შედეგად პირველად განხორციელდება: საქართველოში არსებული საერთაშორისო, რეგიონალური და ადგილობრივი გზების შესწავლა და მათი გეოგრაფიული თავისებურებების გამოვლენა; ისტორიული გზების გეოპოლიტიკურ ჭრილში განხილვა; მათი აღდგენის პერსპექტივების შესწავლა რაც ქვეყნის ამა თუ იმ რეგიონის განვითარების და ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების წინაპირობა შეიძლება გახდეს.